ფასი 10 კაპ.

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 4

## თფილისის დეპუტატი.

—

ეს მესამეჯერ აგზავნის თფილისის გუბერნია თავის წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში, მაგრამ უკან დაბრუნებული ერთიც არ უნახავს. როგორც შეეფერება ხალხის ჭეშმარიტ წარმომადგენელს და მისი ინტერესების დამცველს, მთავრობაც ისე ეპყრობა ჩვენ დეპუტატებს და როცა დუმას ერეკება, ჩვენებს პეტერბურგშივე იტოვებს მძევლათ.

არა გვგონია ამ მხრივ ახლად არჩეული დეპუტატი, კარლო ჩხეიძე, რაიმე უკეთეს პირობებში დარჩეს და თავის წინაპართა ხვედრს ასცდეს. პირ-იქით მესამე დუმის ფიზიონომია უკვე თითქმის გამორკვეულია და ვიცით როგორ შავს კამპანიაში მოუწევს მუშაობა ჩვენს მესამე დეპუტატს.

კარლო ჩხეიძე სოფელი ფუთის მცხოვრებია, სადაც დაიბადა 1863 წელს. სწავლა პირველად ქუთაისის გემნაზიაში მიიღო, ხოლო აქედან თავისუფალ მსმენელათ შევიდა ადესის უნივერსიტეტში. ადესიდან ერთი წლის შემდეგ ხარკოვის ინსტიტუტში გადავიდა, მაგრამ სტუდენტთა არეულობამ უსწრო და დათხოვნილ იქმნა.

მას შემდეგ კარლო ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობს. ქართულ მწერლობაში იშვიათად იღებდა მონაწილეობას. უმთავრესათ მისი მუშაობა მუშათა წრეებში სწარმოებდა. ამ ბოლო ხანებში კარლო ჩხეიძე ხელმძღვანელობდა ჩვენს გაზეთებს: ,,ლახვარს‘‘, ,,დილას‘‘ და ,,ჩვენ გზას‘‘.

სრული იმედი გვაქვს, რომ მესამე დუმაში კარლო ჩხეიძე ღირსეულათ შეასრულებს თავის მძიმე მოვალეობას



კარლო ჩხეიძე

ამრჩეველთა წინაშე. მისი პირადი ღირსებები საკმაო თავდებია ამისი და ვნახოთ საქმეზე როგორ გაგვიმართლდება იმედები.



## მათრახის კუდი.

—

ღმერთი რჯული არც კი ვიცოდი თუ ჩვენი მათრახის კუდი ესდენ მწვავე იყო და ევგენი დვალის მიმართ გაქნეული **,,რაჭა-ლეჩხუმ-სვანელთა შორის განათლების შემწე ამხანაგობის‘‘** 85 წევრს აუწვავდა ზურგს.

საიდან სადაო,
წმინდა საბაო!

მიუწდომელია ჩემთვის მათი ახმაურება, მაგრამ მიუწდომელი არ არის ჩემი მათრახის კუდისათვის და ამიტომ ნურას უკაცრავად თუ ამ ჟამად სწორედ ეს 85 წევრი „განმანათლებელი საზოგადოებისა“ მსურს გავატარო მათრახს ქვეშ.

,,რაჭა-ლეჩხუმ-სვანელთა განმანათლებელნო!‘‘ ნუ თუ თქვენ განათლებულ გონებას ჰგონია, რომ ჩემი მათრახის კუდი ევგენი დვალს ,,რაჭველობისათვის‘‘ მოხვდა? ამაზე აი რა მაგონდება: მეცხვარეს მგელმა ცხვარი მოსტაცა. მგელი დაიჭირეს და ცემა დაუწყეს. გამწარებული მხეცი ეუბნება მეცხვარეებს:

— რას მერჩით განა ჩემი ბრალია რუხი ფერისა რომ ვარო!

— მეცხვარემ უპასუხა: იმიტომ კი არა გცემთ რუხი რომ ხარ, არამედ იმისთვის ცხვრებს რო იტაცებო.

ევგენი დვალს ჩვენ დავუწუნეთ მისი ავადმყოფი გონების ნაყოფი წიგნაკი, მორჩა და გათავდა. წინეთაც იყო ქვეყნათ თქვენი ძვირფასი ევგენი, მაგრამ ჩვენ მასზე ხმა არ ამოგვიღია.

ან შეიძლება თქვენ ევგენი ღვალის ,,წკეპლებით'' გინდათ ,,რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის'' განათლება? შეიძლება თქვენს გახსნილ სკოლებში (იხილე ,,ჩვენი გზა'' № 31) სახელმძღვანელოთ შეგაქვთ მღვდლისა და თავადის შესახები სიმღერები? ნება თქვენია, მაგრამ აქ რა შუაშია ,,ეშმაკის'' პრავაკატორობა? ეჰ, განმანათლებლებო!!

რა იქნება თქვენ მიერ ,,რაჭა ლეჩხუმ-სვანეთში'' შეტანილი განათლება, როდესაც არ იცით თუ რას ნიშნავს ფსევდონიმის გამოაშკარავება. ეს ლიტერატურულ უზრდელობასთან ერთად ხომ პოლიტიკური ჯაშუშობაც არის?

და მოდი ახლა 85 განმანათლებელ ჯაშუშს ნუ უცხუნებ მათრახის კუდს.

ეშმაკი.



# სიზმრის ახსნა.

1) **ჭაობი იხილო ბაყაყებითა ავსე, კილოსა ავსა ზედა მოყიყინე**—ცუდია: სანახაობა ესე ყოველთა ჟამთა შინა ახდების ავად, რამეთუ მოასწავებს დუმასა მესამესა შავ აზროვანითა დეპუტატებითა ავსებისა დასათრგუნად სრულიად რუსეთისა.

2) **თხუნელა იხილო პადვალთა შიგან მძრომელი, ბინადართა მათდა საზვერად მოვლინებული.** ავია: სიზმარი ესე ყოველთა ჟამთა შინა ახდების ავად, რამე—თუ მოასწავებს რეგვენისა მას „ისარის“ ლიტერატორსა“, მ. ად—ლის, საიდუმლო გამოკვლევათა, რომელსა არა ერცხვინებიეს ხელობა ესე ფრიად დასაძრახი და ენა ბინძურობითა თვისითა ძალუძს ვნებისა მოყენება დროებითისა, რამეთუ ჰორსა ზედან აგებულსა გოდოლსა „მწერლობისა“ მისისა მოკლე აქვს ფეხები ვითარცა ტყუილისა ყოველსა.

---

# რეზოლიუციები

## მუშათა ცხოვრებიდან.

**სარაჯევის ქარხანა.** ჩვენ, ზემოხსენებული ქარხნის მუშები, რიცხვით 600 კაცი შევიკრიბეთ და დავადგინეთ შემდეგი: ,,რადგანაც მუშაობის გათავების შემდეგ ზოგიერთი ამხანაგები ქარხნის კარებს გასცილდებიან თუ არა ქუჩებში წვებიან არაყისა და კონიაკისაგან გაბრუებულნი, ამისათვის წინადადებას ვაძლევთ ,,ეშმაკის მათრახის'' რედაქციას გამოგვიგზავნოს ჩვენ ხუთიოდ ეშმაკი თავისი მათრახებით რათა დავაყენოთ ისინი ქარხნის კარებსა და ქუჩის პირებზე, რომ აღარ გაბედონ ზემოხსენებულ ამხანაგებმა ქუჩაში წოლა, არამედ პირდაპირ თავის სახლისაკენ წავიდენ ხოლმე. ხელს აწერს ამ რეზოლიუციას 88 მუშა 12 წინააღმდეგია ეშმაკების გამოწერისა და პროტესტს უცხადებს კრებას ამ რეზოლიუციის გამოტანისათვის.

—

**ტრამვაის მოსამსახურეები.** ტრამვაის მოსამსახურეები, რიცხვით 1,500 კაცი, პროტესტს ვუცხადებთ ეშმაკის სამყაროთა რედაქციას, რადგანაც იგი ყურადღებას არ გვაქცევს ჩვენ და არ აგზავნის ეშმაკებს თავისი მათრახებით იმ ვიზიტებზე დასასწრებლათ, რომელსაც უკეთებენ ჩვენი ზოგიერთა კანტრალიორ-კონდუკტორ-ვატმანები ბ-ნს დირექტორს და აიმედებენ მას, რომ თუ თქვენ ბ-ნო დირექტორო მაგრათ მოექცევით საერთოთ მოსამსახურეებს, ყოველთვის შეგიძლიათ გაიმარჯვოთ, ხოლო ჩვენ ,,ვიზიტიორები'' მზათა ვართ ხელი შეგიწყოთ ციხის შიგნიდან გატეხაშიო.

—

**ლიმონათების ქარხნები.** ,,რადგანაც ზემოხსენებულ ქარხნების ხაზეინებმა დიდხანია რაც გაიღვიძეს და ჩვენ კი ისევ გვძინავს, ამისათვის ჩვენ, აღნიშნულ დაწესებულებათა მუშები, სიზმარში შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ მივმართოთ ,,ეშმაკის სამყაროთა'' რედაქციას რათა გამოგვიგზავნოს ერთი როტა ეშმაკებისა მათრახებით და ბუკ-ნაღარებითა, რამეთუ მხოლოდ საყვირითა ეშმაკისათა და მათრახითა მისითა შესაძლებელ არს გამოღვიძება ჩვენი და იერიშით მოსულ ხაზეინთა დანახვა. ხელს ვაწერთ ყველა მუშები გარდა ოთხი ხუთისა, რომელთაც არ სძინავთ.''

---

# პატარა ფელეტონი

(წერილი მ. ად—ლისა პროვინციელ მეგობრისადმი)

ძმაო ნიკა!

შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს. ვიცი, გაიგებდი ფედერალისტებმა, ალია შავჭავაძის მოკვლის შემდეგ, „სისკნოი ატდელი“ რო გააღეს „ისარში“ და მე სოციალ-დემოკრატების ზვერა მომანდეს. შენიჭირიმე დაგვავალე და თუ მანდ რასმე ლაპარაკობდენ ეს სამშობლოს მოღალატენი, ფიცხლავ მაცნობე! ან მიიწვიე, ან შენ თვითონ ესტუმრე (თავი მოიმკვდარუნე, ვითომ სოციალისტი ხარ—მეც ეგრე ვიქცევი ხოლმე) და წამოაცდინე რამე. გარდა მაგისა, თვალი კარგად ადევნე: რასა სჭამენ, რასა სვამენ—(საიდან რა „სუმმით“?) ვისთან ცხოვრობენ—(კანონიერათ თუ უკანონოთ) და ყველაფერი დაწვრილებით მომწერე. შეგიძლიან შენი მხრითაც დაუმატო რამე, რომ აქ გადაკეთება აღარ დასჭირდეს... ხო იცი არა მცალიან: ცალი ფეხი ავჭალის აუდიტორიაში მაქვს (მთელი ხროვა დავიჭირე!) ცალი—„პადვლებში“ (აქ კი სადღეგრძელოზე მოვასწარი!) და რომელ ერთს გავწვდე? გენაცვა, მომეშველე! ფოჩტის ხარჯი ჩემ კიაერზე იყვეს. ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ, ჩემმა „ხაზეინებმა“ ასეთი მადანი იშოვეს, რო „სროჩნი“ ტელეგრამმებითაც რო უანგარიშო, წარბს არ შეიხრიან. მართლია, „ამერ-იმერნი“ არ გამოვიდნენ მაგრამ შაურებიანი კი ბლომათ ვუზურგულეთ. ასე გამოიწკიპა შენი მონა, რო ველარც კი იცნობ! ტანზე-„სერთუკი“-(ხაზეინებმა იყიდეს, რომ ყველგან მიმიღონ ხოლმე, დასაზვერათ...), თვალებზე-„პენსნე“... თეატრის პირველ რიგში რო გამოვეჭიმები ხოლმე ასეთი „ვიდი“ მაქვს, რო გერბერტ სპენსერი გეგონები! ბიჭო, რა კარგი ყოფილა მწერლობა! არც ისე ძნელია: „კალენდრიდან“ შეისწავლე რამდენიმე დიდებულ პოეტ-ფილოსოფოსების (მხოლოდ მკვდრების, რო ბოლოს არ წამოგვედავონ!) სიტყვა-აზრები და ყოჩაღათ იხმარე! შე ოხერო, რაღა ლპები პროვინციაში? ჩაკეტე სამიკიტნო, ჩამოდი აქა და თუ სამი კვირის უკან მწერალი არ გახდე, პირში მაფურთხე! (არა უშავს რა, შეჩვეული ვარ...) უსწავლელობისა ნუ გეშინიან. მეც, ხო იცი საიმისო არაფერი მიმიღია, მაგრამ ხვალ-ზეგ რო მოვკვდე, დიდი ამბით დამმარხავენ და გიოტეთ მომნათლავენ... პოლიტიკა და ახვა ეგრეთი რამე საჭირო არ არი (ღმერთიც უშველის რეაქციას!) საკმარისია სოციალ-დემოკრატები ლანძღო და ქალების ჭკუა იშუნო... მიიტანე რედაქტორთან და ვინაიდან ჭკუისა არც იმას გააჩნია, უთუოთ დაგიბეჭდავს! სხვა რაღა მოგწერო? გიგასაც უთხარ: ჩამოდი, ეხლა გაქვს დრო მწერალი გახდეთქო.

ენი მ. ად-ლი.“

ნ. აზიანი.

## ზურაბას სიმღერა

ველისციხელ ვაჭრებში,
ვარ ყველაზე მსუქანი.
ვჭუდობ მეიდანთასა,
მაქვს სავაჭრო დუქანი.

---

ორი დუქნის ბიჭი მყავს,
დღე და ღამ ვამუშავებ.
(„შირობა“ ასეთი მაქვს,
აბა მე რას ვაშავებ!!!)
მიტინგებზე არ ვუშვებ—
ვიცი გაირყვნებიან.
“ბუნტობას“ ისწავლიან,
ფინთები გახდებიან.
მერე, დუქნის დაგეტას,
მომთხოვენ საათობით.
(ოჰ, ეს რომ მოითხოვონ?!
ბარემ მომკალით თოფით!)
ბიჭებს ნებას არ ვაძლევ,
რომ გაზეთი იკითხონ.
დარიგება თუ უნდათ
აგერ არა ვარ თითონ?
ასეთი ვარ, ასე მაქვს
საქმე დაყენებული,
ბიჭებიც მე ამდევენ
თვალებ დაყენებული.

მუშტი.



## ბათუმის ავავ-ჩავანი

(ბლიკვაძის სააგენტო.)

**ნავით მოგზაურობა ბათუმის ქუჩაში.** აჭარის ქუჩაზე ნავით მოგზაურობის დროს დავით ხარაზოვი საბახტარიშვილის „სკლადთან“ გაირიყა. ნავი გადარჩა, ხოლო დავითი დაზიანებულია-

**სრულიად საქართველოს კათოლიკოსი.** ავტო-ტარჴნ კეფალისტების მიერ არჩეული და საქართველოს კათალიკოზათ ხელ დასმული ღირსი მამა კირილ ბეჟანიჩ ლორთქიფანიძე, მეჴავითნე სამსონ ყიფიანი თურთ ამ დღეებში ბათუმს ეწვია. წირვა ახლათ ნაკურთხ ქართულ ეკლესიაში მოისმინა, შემდეგ სახალხო უნივერსიტეტისა და ღარიბთა თავშესაფარის შენობები დაათვალიერა. შემდეგ, როგორც გამოცდილმა მებანკემ, აჭაური „ნდობის ბანკიც“ არ დასტოვა უყურადღებოთ: შერავიდა სალაროსა შინა ამა ბანკისასა, იხილა მუნ როკვა თაგვთა და ვირთაგვათა. ღაღად ჰყო ხმითა დიდითა და რქვა: საკვირველ არიან საქმენი ამა მოწრუწუნეთა, ვინაიდგან არ მოიძებნების ქანქართა სალარო არცა ერთი, სადაცა სულიერნი ესენი, ალჭურვილნი ბასრითა კბილებითა თვისითა არ ანადგურებდენ ქანქარსა მუნ მდებარესა. ექსორია ჰყავთ „კასისაგან“ ფულსა და საგულისხმო არს მოთრეულ-კუდოსანთა მოშორება. ღაღადისი ესე ვინმე ყმის გოგიჯანოვის მიერ მყის იქმნა სრულ ყოფილ. კათალიკოსმა მთელი ქალაქი „კონკით„ შემოვლო.

## რა არ არის ბათუმში.

— ბათუმში ქალაქის ბაღის ისეთი მთავარი გამგე არ არის, რომელიც ხელქვეით მუშების ცხოვრების გაუმჯობესობაზე არ ცდილობდეს და ზრდილობიანადაც არ ექცეოდეს მათ.

— ბათუმში ისეთი „უპრავა“ არ არის, სადაც მოსამსახურეებს ენკენისთვის ჯამაგირი ამ ჟამათ მიუღებელი არ ჰქონდეს

— ბათუმში ისეთი ხუცესი არ არის, რომლის მეოხებითაც მკვდართათვის საუკუნო განსასვენებელი-სამარე, უქანქაროთ შეძინებოდეს.

— ბათუმში ისეთი „ქართველი დაშნაკცუტუნი“ —(ფედერალისტი) არ არის, რომელმაც ოდესმე ს. დ. მიერ „სადუმოთ“ წამოყენებულ კანდიდატს შავრაზმელების წინაალმდეგ ხმა არ მისცეს.

— ბათუმში კათოლიკების ეკლესიასთან ისეთი ქუჩა არ არის, წყლის მილისთვის მაისის თვეში ამოთხრილი ორმო დღემდის ორმოთ იყოს და მუნით მონადენი სიდამპლის სუნნელოვანება ადამიანის ჯანსაღობისთვის მავნებელი იყოს.

## რა არის ბათუმში.

— როგორც იქნა აქაური ინტელიგენციის მოღვაწეობით საკვირაო სკოლა გაიხსნა. მოსწავლეთა რიცხი უდრის **ასს**, რომ **ორასის** ნახევარი გამოვაკლოთ.

— დამთავრდა გასაწმენდ არხებზე მუშაობა (კანალიზაცია) და ქალაქს სისუფთავე დაეტყო. მხოლოთ საქმე იმაშია, რომ საამისო მილები კიდევ არ არის დაკვეთილი და ამის საკითხი ქალაქის გამგეობას ჯერჯერობით არ წამოუყენებია.

— ინჟინერ - გიდრავლიკ - პროვიზოროაგენტ-ყველაფერმა, ბიჭია იმედაიშვილმა, დაამთავრა წყლის არხი და წყალი უკვე გამოუშვა სამი ვერსტის სიშორიდან. მარა ფიქრობენ, ორ წელიწადს წყალი ბათუმამდის ვერ მოახწევსო.

— გაიხსნა კერძო ახალი გიმნაზია. ჯერჯერობით მხოლოთ 1) აკლიათ მთავრობის ნებართვა, 2) ნივთიერი, საშვალება, 3) შესაფერი გამგის შოვნაც გასჭირდა. სხვა ხელის შემშლელი მიზეზი არაფერია.

---

## წ ე ლ კ ა ვ ი.

ტარტაროზისა მიერ ძმაო ჩემო ეშმაკო! ვისწრაფი მორავალინო შენდამი ამბავი ესე საოცარი და განვამხიარულო მწუხარე გული შენი თხრობითა მისითა.

ამა ბოლოსა ჟამსა ქალაქსა ჩვენსა სრულიად იმერეთისასა მძინვარებს სენი რაიმე საზარი, რომელსა ენითა ხალხურითა ეწოდების წელკავი. საზარელ არს მოქმედება მისი, მიმართული მარტოოდენ ,,მოღვაწეთა‘‘ ჩვენთა წილ. კაცი რომელი ფლობდეს შუბლსა მაგარსა, ადვილათ იტანს საზარელსა ამა ჭირვებსა, ხოლო სხვათათვის ზიანსა იქმოდიეს ფრიად დიდსა და საგრძნობელსა. უწინარეს ყოვლისა ელტვის რა ძვალსა ხერხემლისასა, კოჰპუსსა ტანისა. მისისა შეიქმს ვითარცა რკალსა ბამბისა საპენტსა

პირველად სენი ესე **წელკავი** განუჯდა მოღვაწესა ულრმესად ცნობილსა, რომელსა ეწოდების დავითი. მეოხებითა ზემორე აღნიშნულ თვისებათა დავითი ესე ვერა მოსტეხა სასტიკმა სენმა და კვალად დადის გამართული ვითარცა ჩოგანი იგი ალაპისა, ხოლო მრისხანებასა მისსა არა აქვს დასასრული

კვალად განრისხდა მდივანი დავითისი, რამეთუ ხედვიდის სატანჯველსა პატრონისა თვისისასა და განიზრახოდა აღმოჩენას ბაცილებისა სენისა ამისათა.

ჟამსა მას გაცხარებულისა კვლევისასა, მეძებარი ესე გადაეყარა ,,უჩიტელსა‘‘ გრძელსა და ვიწროსა, წელსა შიგან მცირედ მოღუნულსა. აზრითა თვისითა არა შესაშურითა გულისხმა ჰყო მსგავსება და მისდა წელკავისა და მრისხანებითა ჩინგის ხანისათა მიიგრაგნა მისთათანა იერიშითა მოსაწონითა.

რისხვითა მდივანისათა შეშინებულმან მოხუცმან დანუტევა მონა იგი დავითისი და მოიქცა ქალაქათ შიშითა დიდითა გარემოცული.

ჟამსა მას უკანასკნელსა გამოირკვა, რომ სენი ესე ახალი, წელკავად წოდებული, არის საფრთხე მხოლოდ და მხოლოდ მოღვაწეთა წილ მოვლენილი და არავითარი წამალი არა გარე, არცა თუ შინა სახმარი, არა უზრუნველ ჰყოფს მოღვაწესა მისგან შეპყრობილსა. მხოლოდ შხაპუნი შრატისა ,,**ზნეობრივ**-სიფაქიზისა‘‘ მარტოოდენ იქონიებს გავლენას, მაგრამ წამალი ესე სქელ კანიანთ ჩვენთა მოღვაწეთა ზედან ვერა იქმს სასურველსა გავლენასაამინ.

შენი ჰინკა.

---



ფედერ·ლისტის სიზ·არი

## სიზმ:რი ფედერალისტისა.

ფედერალისტს ტკბილათ სძინავს
გამოხვეულს თბილ საბანში
და სიზმარი საოცნებო
ქრუანტელათ უვლის ტანში.
სახეს ღიმი გაუშუქებს
საიმედო, სანეტარო;
ცა ქუდათ არ მიაჩნია
და ქალამნათ ძირს სამყარო.
თვალ-წინ უდგას ხორც-შესხმული
მისი ტურფა იდეალი
ჰაზრი უდუღს, სული ხარობს,
ტკბილსა ცრემლსა აფრქვევს თვალი.
ხედავს იგი: ,,რომ შეერთდა
შეკავშირდა ჩვენი ერი;
ერთი აზრით გაიმსჭვალა
კეთილი და ბედნიერი.
აღარ ახსოვთ ერთმანეთის
აღარც მტრობა, აღარც შური,
ერთი გრძნობა ასულდგმულებთ
და კავშირი ნამდვილ ძმური.

აქ არ არის აღარც ღვდელი,
აღარც გლეხი, არც ბატონი,
არც სხვა და სხვა ინტერესი
,,დასელების'' მონაგონი.
აქ არ არის: აღარც მუშა,
არც მჩაგრავი კაპიტალი!
აქ ერთია ყველასათვის
კანონი და სამართალი!!!
გაიმარჯვა იდეალმა
და მოისპო ხალხში მტრობა...
ძველის ნაცვლად აღორძინდა
ეროვნული ოჯახობა.
თავადი თუ გლეხი კაცი,
მღვდელი, მუშა თუ ვაჭარი,
ერთსა ტაბლას მოსხდომიან
მოლხენა აქვთ სულ დამტკბარი.
მღვდელს არ უნდა დრამის ფული,
არც სამარხი არაფერი.
არც სანათლავ საწირავი
არცა ჯვარის დასაწერი!
თავადიშვილს აღარ ახსოვს
ის წყეული მიწის ღალა,
რომლის აკრეფ-აბოქვაში
მთელი ჯარი მოიღალა.

აღარ ახსოვს აღარც შეშა,
არც მინდორი საძოვარი
პირუტყვებზე სანადირო
და ფულების საშოვარი.
გლეხ-კაცსაც კი დავიწყნია
ჭირ-ვარამი გამოვლილი
და საერთო სიხარულში
მასაც შეაქვს თავის წვლილი.
ამა სახით ეს ოჯახი
მისცემია შვება ლხენას
და წარსულის მოგონებით
დაიტკბობენ ყურთა სმენას''.
ხედავს ყველას ოცნებაძე
და უტოკავს მკერდში გული
უკვირს: ამას რას მოესწრა
ჩვენი ერი და მამული.
აი, მუშამ კურტნიანმა,
შესთავაზა მასაც ღვინო,
უთხრა: ,,ჩვენო მოციქულო
დროა ახლა მოგვილხინო!
დროა აწ შენც მოისვენო
ტკბილ ცხოვრებას მისცე თავი,
ხედავ როგორ აგვისრულდა
შენი ნაშრომ-ნადაგავი?''

სამსონს გული აუჩუყდა...
ვით მოხუცი სვიმეონი,
ხელებს ზეცად აღაპყრობდა
ამ ტკბილი ხმის განაგონი.
მაგრამ შიშველ მკლავებზედა
სიო მოხვდა ცივი, ნელი
და იხილა ლხინის ნაცვლად
მხოლოდ თვისი სარეცელი.
ტკბილ ოცნებას მოწყვეტი..ი
ცრემლთ ნაკადულს აფრქვევს მწარეს
და სიამით შესტრფიალებს
სიზმარეთის კეთილ მხარეს.

ეშმაკი.



## ქართველი მოღვაწეები

(Газетный домъ имени Зубалова)

მართალია ქართულ მწერლობაში, თუ სახეში არ მივიღებთ იაკობ გოგებაშვილთა პოლემიკას, პართენ გოთუას განსაკუთრებული მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

პართენ გოთუა გურული აზნაურის გვა-

რიშვილია. პირველ დაწყებითი სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში შეიძინა, სადაც ნამეტარი ნიჭი გამოიჩინა. გემნაზიის გათავების შემდეგ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში და აქაც ძალიან სწავლობდა. გაათავა უნივერსიტეტი სრულიად ახალგაზრდამ და დანიშნულ იქმნა კავკავის გემნაზიის მასწავლებლათ. ამასთანავე ის თვალყურს ადევნებდა კავკავის ქართული სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებლების ვითარებას.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევ წლებში პ. გოთუასა და კავკავის სკოლის მასწავლებელთა შორის შავმა კატამ გაირბინა, რასაც მოჰყვა ფრიად გრძელი პოლემიკა გოთუასა და ი. გოგებაშვილს შორის პოლემიკის შემდეგ გოთუა თფილისში დაბრუნდა და იკისრა ცენზორობა. ისტორიას არ შეუძლია აღნიშნოს, რომ ის ამ როლში უვარგისი იყოო, პირ-იქით მის დროს მწერლობა ცოტა წამოცოცხლდა.

ცენზორობიდან გადადგომის შემდეგ, პართენ გოთუას ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება, ხანა რედაქტორობისა. შენიშნა რა მისი დიადი ნიჭი და მოხერხება, ქართველმა ქველ-მოქმედმა ზუბალოვმა გადასცა 80000 მანეთი (ოთხმოცი ათასი) რუსული გაზეთის გამოსაცემათ.

პართენ გოთუაც ენერგიულათ შეუდგა საქმეს და 1905 წლის პირველ ოქტომბრიდან გამოვიდა მისი პირველი გაზეთი „ვოზროჟდენიე.“

რედაქცია თავობიდანვე ბაბილონის გოდოლს მოგვაგონებდა, რისთვისაც მისი ამ სახით არსებობა შეუძლებელი ხდებოდა. კრილოვის იგავისა არ იყოს, რედაქციის თითოეული წევრი თავისთვისა და სხვა მხარეს ეწეოდა საქმეს; ერთმანეთის აღარაფერი ესმოდათ და რედაქციასაც საძირკველი მოეშალა.

მას შემდეგ, რაც თავისუფლების დღენი წარვიდენ და რეაქცია რედაქციების კარებსაც მოადგა, პართენ გოთუამაც მრავალჯერ გამოუცვალა ქერქი თავისს გაზეთს.

როგორც გამოირკვა, ადმინისტრაცია გაზეთებს „მავნე“ აზრებისა და მთავრობის მხილებისათვის ხურავდა. ეს მშვენივრათ შეიგნო ბ-ნმა გოთუამ და ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ ფრთხილათ იქცევა. მოწინავეებს გაზეთში სრულიად არ უშვებს, ხოლო სხვა წერილებშიაც უმთავრესი ადგილი განცხადებებს უჭირავს.

სად, რომელ გამოცემაზე, გათავდა ზუბალოვის მიერ ნაანდერძევი 80 000 მანეთი არავინ იცის და ანკი ვისთვის არის საჭირო ამისი ცოდნა.




პართენ. ალ. გოთუა.

(*Газетный домъ имени Зубалова*).

ხასიათით პართენი მეტის-მეტათ კეთილი და სათნოიანია: ყველასთან თავმდაბალი, ტკბილი და მოალერსე. შაქარი გადმოდის პირიდანო რომ იტყვიან ეს სწორეთ მასზეა გამოჭრილი. რწმენითაც ყოველგვარი რწმენისა არის და ვაგლახათ არავის აწყენინებს. წლოვანობით ჯერ შედარებით ახლგაზრდა და ძალ-ღონით სავსეა.

მართალია საკუთარი მწერლური ნიჭი პართენს ჯერ არ გამოუჩენია, მაგრამ იმედი გვაქვს მომავალში ფართო გზას მისცემს საკუთარ შემოქმედობას და ამ მხრივაც თვალსაჩინოს გახდის თავისს მოღვაწეობას.

ქართულ მწერლობაში, ჩვენდა სამწუხაროთ პ. გოთუა ძლიერ იშვიათად გვეჩვენება ხოლმე, რაიცა დიდ დანაკლისათ უნდა ჩაეთვალოს ჩვენს ისედაც ღარიბ მწერლობას და მით უმეტეს ჟურნალ გაზეთობას.

ისტორიკოსი.



## საეშმაკო ფურცლის გამო

ძმაო ეშმაკო, ჩამოგვეთხოვე,
რაჭველებს საქმე ნუ გაუჭირე,
როგორ გაბედე და ეგენი დვალს
ზურგზე მათრახი გადაუჭირე?!!
ღმერთმა უშველოს, კარგი ბიჭია
არ დაგვეკარგა მისი კალამი,
—გულის მალამო და საამური
უსწორ-უბრო მისი სალამი!
შენ ეშმაკი ხარ და მიტომ გინდა,
რომ შეგვიგინო ,,საუკეთესო'',
მერე გაგვცინო: ,,მოჭირნახულეს
სულ ვერაფერი გაუკეთესო!''
მაგრამ მიგიხვდით! საქვეყნოთ გავხდით,
რასაც იღვწოდა ჩვენი ,,უსწორო''
და მერე მის შუბლს ვერას დააკლებ
შენი მათრახი რა გინდ უსწორო!!!
ჩვენი ეგენი ,,სალომეც'' არის,
ხან ჭელიძეობს ხან დვალიც არის,
ჩოხაც უხდება, კაბაც უხდება,
ასე გვამშვენებს, ასე დაგვხარის!
შენ შეგხვედრია ,,დვალის'' ,,ქმნილება''
ჯერ სალომესი არ გაგიცვნია...
ოხ, რა კარგია, ნეტავი იმას
ვინც ეს ორივე ერთად იწვნია!
,,ჯგუფიც'' ყოფილა, ეგენს ყოლია
ეს გვაუწყებს ამას ,,ჩვენი გზა'',
ოთხმოცდა ხუთი აღმოჩენილან
რომ გაანათონ ლამპრით ჩვენი გზა!
მეორეც არის ,,მუშების'' ჯგუფი
მაგრამ იქ საქმე სხვაგვარათ მოხდა,
იმდენ წელს ღმერთმა ეგენ გვიცოცხლოს
რამდენიც იმას პანდური მოხვდა!!!
ახლა სხვა ჯგუფი შეუდგენია
ალბათ სურს მუშებს ის წაუსიოს,
და ვინც პანდური შეჰკადრა იმას,
ცემით ცხვირ-პირი ამოუსიოს!
რაჭაშიც ბევრი იშრომ-იღვაწა...
რაც კი მოასწრო არივ-დარია,
ბოლოს ვიღაცა მღვდელს გამოეცხო
შიშით საწყალი სულ გადარია!
წამოეწია ნავზე რიონში...
მღვდელმა: ,,მომკლავსო'', დაადასტურა,

მაგრამ ევგენმა სიკვდილის ნაცვლათ
მოძღვარი წყალში გადააცურა!
ცურვა სცოდნოდა სცოდავ ხუცესს,
გაღმა გავიდა გადარჩა ამით,
და რა თქმა უნდა მას შემდეგ ევგენ
„სოციალისტობს" ამაყობს ამით!
ახლა „მგოსნობას" მოჰკიდა ხელი,
ხუცესთ-ქალბატონთ ადინა ბდღვერი!!
ფრთხილათ ეშმაკო, შენი მათრახით
არ მოუტეხო მის „კალმის" წვერი!!!

აქავარ



## ეშმაკის მოგზაურობა.

—

დროებით სახე გამოვიცვალე და ჩერქესკაში გადაჩახმახებულმა ქუთაისის ბულვარს სამჯერ გავუკეთე „კრუგი".

— ნეტა ვინაა ეს ყმაწვილი? იძახოდენ გაოცებული ქუთათურები.

მაგრამ მე კუდსაც არ ვანძრევდი და ნამდვილი ქუთათური კეთილშობილური მედიდურობით გადავსცქეროდი ყველას.

იმწამსვე შეიტყვეს ჩემი ბინა და სალამომდი ათასნაირი ხმები დაჰქონდათ ჩემ შესახებ.

— ეს უთუოდ მეგრელი პრინცი იქნება, ამბობდენ ოდიშელი აზნაურები.

— არა, ბატონო, ეს ყმაწვილი მე მეცნობა, უთუოდ სადღაც კახეთში მინახავს: ალბათ ვინმე ჩოლოყაშვილი ან ჩერქეზიშვილი იქნება. კარგი ტანადი კია!! ლაპარაკობდა მეორე აზნაური.

— იცი, ამბობენ ამან ჩვენი „მებრძოლი" რაზმი უნდა მოაწყოს, იმიტომ ჩამოსულაო, ამბობდა ერთი ქოსა ყვითელ ჩოხიანი ახალგაზრდა.

— ხო არ ხუმრობ, ყმაწვილო; მაგ სვანელი დადიშქელიანია, მანჯურიაში მიდის ჯარში უნდა ჩაეწეროს.

ასე ყველა თავისს აზრს თავისუფლათ გამოსთქვამდა და ვერავინ ვერ ამჩნევდა ხმალზე გამოკიდულ მათრახის კუდს.

ლამპა ახლად ანთებული მქონდა, რომ ოთახის კარი მოკრძალებით შემოიღო და ჩემთან ყვითელ ჩოხიანი ქოსა ყმაწვილი შემოვიდა. ხელი გულზე მიიდო, შორიდან მოწიწებით თავი დამიკრა და რაღაც ქაღალდი გადმომცა.

ერთი შეშინება შემეშინა, რადგან ცნობილი დიდიმ ჩიკვაიძე მეგონა, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი ჩემს წინაშე საქმის კაცი იდგა და შევსთავაზე:

— დაბრძანდით ჭაბუკო, რაზედ გარჯილხართ.?

სტუმარმა, ალბათ ლევიცკის სახელმძღვანელოზე აღზრდილმა, მუნჯურის მეთოდით მიმითითა ქაღალდზე და თითონ სავარძელში ჩაესვენა.

მე გავხსენი ქაღალდი და ჩემს აღტაცებას საზღვარი არ მიეცა.

**„თავადთა ქართველთა,**
**მამულის დამცველთა"**

მებრძოლი რაზმის გამგეობა, თავის საიდუმლოს მიზიარებდა და საპატიო წევრობას მიკვეთდა.

„ძვირფასო კნიაზო, ბუზანკალ თადეოზის-ძევ! მოგმართავთ თქვენ, როგორც ფრიად გამოსადეგსა, გამჭრიახსა და ენა დაცულ ვაჟკაცსა მამულის სიყვარულით აღგზნებულს. გიგზავნი ჩვენი სანდო კაცის ხელით სრულიად ქუთაისის თავად აზნაურთა ფიცის ქაღალდს. გლეხებმა და სხვა ამგვარებმა ძლიერ აიგდეს თავი! კერძო საკუთრებას ეხებიან და სიმწრით მოპოებულ მამულ დედულზე გვედავებიან!! რა არის საჭირო? საჭიროა თავის დაცვა, კეთილ-შობილთა რაზმის შედგენა. უკვე გვაქვს მოლაპარაკება ისტორიაში ცნობილ, ზუბიკო აბდუშელიშვილთან და თქვენის დახმარებით საქმე თუ მოვაგვარეთ, შეიძლება ბატონ-ყმობაც დავიბრუნოთ. არა თუ გუშინ წართმეული უფლებები და შერცხვენილი სახელი აღვადგინოთ.

მაშ ეგრე, თქვენი ენა დაცულობა თავდებია იმისი, რომ ჩვენს განზრახვას გლეხები გვიან შეიტყობენ. თოფ იარაღსა და სხვა საომარ სურსათს, რამდენსაც გინდა იმდენს მოგვცემენ. ახლა თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცურმა ენადაცულობამ".

ვკითხულობდი და თვალს არ ვუჯეროდი. ნუთუ ქართველ „კეთილშობილთა" „კეთილშობილური" გრძნობა, მათი რაინდული მიდრეკილება სამუდამოთ არ გამქრალა? ნუ თუ საქართველო არ დაღუპულა, ნუ თუ არ აღსრულებულა მისი წერა და კვლავ იღვიძებს ახალი ცხოვრებისათვის?

ნუ თუ იღვიძებს მკვდარი მამული
სდგება წოდება წარჩინებული!?

მეც, რასაკვირველია, სიამოვნებით მივიღე მებრძოლ თავადთა წინადადება და სრული თანხმობა შევუთვალე.

მაგრამ ქოსა ყმაწვილმა მუნჯურით მანიშნა, რო პასუხი ქაღალდზე დამეწერა. გამაკვირვა მისმა ასეთმა საქციელმა, მაგრამ გამახსენდა, რომ ეს ეგრეთ წოდებული „ენა დაცულობა" გახლდა და დავეშურე წერას.

„თქვენო კეთილშობილებავ, კნიაზო ყაფლან დიდი სიამოვნებით გამოვალ გლეხებთან ბრძოლაში. ენა დაცულობას კარგათ ჩავატარებ და იარაღის ხმარასაც შევისწავლი. ვინძლო ყოჩაღათ იყოთ. იარაღი ბლომათ დაამზადეთ. ზუბიკო ნუ გინდათ, რადგან ბოლო ხანებში ლიბერალობა დაიწყო. უფრო აირჩიეთ ჭყონიები, გარდაფხაძეები და აფაქიძეები. გლეხების ძველ კალაპოტში ჩაყენება დიახაც რომ საჭიროა, თორემ სამშობლოს განსაცდელი მოელის.

მარადის შენი...—ეშმაკი".

გვიანღა იყო! წამცდა და წერილს ჩვეულებისამებრ ჩემი ფსევდონიმი მოვაწერე. ენა დაცულმა ქოსა ყმაწვილმა რა ეს დაინახა, საშინელ ყოფაში ჩავარდა. ერთი საზარლათ დაიღრიალა: „ვაიმე დედაო" და ქუჩაში გავარდა. მეც გვიან, მოვედი გონს და ველარ მოვასწარ ერთი მათრახის კუდი გამეყოლებია მისი ყვითელი ჩოხისათვის.

მაგრამ ან კი რა გვაჩქარებს! ადრე იქნება თუ გვიან წერილის გამომგზავნს ჩავიგდებ ხელში და ამის ულუფასაც იმას მივუზღავ. ეს მაინც კარგია, რომ „საქართველოს" განახლების ხანა დასდგომია.

„მამულის დამცველთა
თავადთა ქართველთა"

რაზმი ჩუმათ წყვება და ვგონებ ჩუმათვე დალევს უბადრუკ სულს.

**ეშმაკი.**



# წერილები ეშმაკისადმი

### გ ო რ ი დ ა ნ

ძმაო ეშმაკო! არ ვიცი გორის აგენტებს ემდური თუ რა არის, რომ ერთი ჩვენკენ არ ჩამოისეირნე შენი მათრახის კუდით?

რომ იცოდე როგორ მშვენივრათ მოეწყო ჩვენი ქალაქის საქმე მგონი რედადაქციასაც აქ გადმოიტან ჩვენს „სამეფო ქუჩაზე".

ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდე, რომ მას შემდეგ რაც ახალი ხმოსნები აირჩიეთ ქალაქს დიდი ცვლილება დაეტყო.

უპირველეს ყოვლისა დახურეს საავათმყოფო და სამკითხველო. სამაგიეროთ ამისა გახსნეს სავაჟო პროგიმნაზია.

აქ ათასი ეჭვი დაებადება ადამიანს, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ამისი ის გახლდათ, რომ ხმოსანთა შორის ექიმი არ ურევია და საავათმყოფოს აბა ვინ მოუვლიდა?

რაიცა შეეხება გიმნაზიას, მიხეილ ხაალოვმა იმდენი ხათრი დასდვა საზოგადოებას, რომ ინსპექტორობა იკისრა. ეს პირველი მაგალითი არ არის ამ თავ-განწირული მასწავლებლის ცხოვრებაში და მთელი ქალაქი სამადლობელი ადრესის მირთმევას უპირობს. ადრესის შავს რომ შეგვიდგენდე და გამოგვიგზავნიდე ძლიერ დაგვავალებ.

მარტო პროგიმნაზია, რა თქმა უნდა, ვერ დაიტევდა „ხალხის“ სამსახურისათვის თავდადებულ ხმოსნებს და ამ მიზნით გახსნეს ბანკი. ბანკი რა თქმა უნდა აუცილებელი დაწესებულებაა ყველა ისეთ საწარმოვო ქალაქში, როგორიც გორია. მით უმეტეს როცა ბანკის მომვლელ პატრონები თვით ხმოსნებში ვვყვანან.

პენსიონერმა და დამსახურებულმა ქალაქის თავმა ცერცვაძემ დიდი თხოვნა მუდარის შემდეგ მიიღო ბანკის გამგეობაში ერთი ადგილი და ახალ პროგიმნაზიაში მასწავლებლობაც იკისრა.

ხმოსანმა თუმანოვმა არ შეხედა თავის მაღალ სამსახურს (თავად-აზნაურთა წინამძღოლობას) და ბანკის დირექტორობაზე დასთანხმდა. გამგეობაში გაიყვანა აგრეთვე თავისი ბიძაშვილი, უმუშიერი თავადი.

ნატროშვილმა გადასწყვიტა და მიიღო კიდევაც ქალაქის თავის თანაშემწეობა ასე რომ ასეთი მამაშვილური და თავდადებული მოღვაწეობა ვგონებ ძველ დროშიაც იშვიათი იქნებოდა, არა თუ ახალ დროში.

ამასთავე განზრახულია აფთიაქის გაღება, რისთვისაც უკვე მზათა ყავთ თავიანთი ნათესაობა.

გაანათეს მშვენივრათ მთავარი „სამეფო ქუჩა“ რომელზედაც თითონ ხმოსნები ცხოვრობენ. გაიყვანეს იმავ ქუჩაზე წყლის მილი.

ყველაზე უფრო მოსაწონი პოლიციასთან ძმური კავშირია. ოზურგეთს გარდა არსად არ არის ასეთი კეთილი განწყობილება ხმოსნებსა და პოლიციელთა შორის. მაგრამ რაღა ბევრი შეგაწყინო, შენი ჩამოფრენა აუცილებელია და მაშინ საკუთარი თვალით ნახავ ყველაფერს.

შენი ძმა ალი-ფაშა

## ქვედა ბახვიდან.

ძმაო ეშმაკო! ამას წინათ გწერდი ქვედა ბახველ „რევოლიუციონერების“ მოქმედებას. ახლა ძმობილო კიდევ გთხოვ, ყური დამიგდო და მომისმინო.

ს. დ. პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა ნ. გოგოტიშვილს (როგორც არა საიმედოს), ამით გაჯავრებულმა გოგოტიშვილმა მეზობლებს გამოუცხადა: რადგან მე ბოიკოტი გამიკეთეთ, ვისი საქონელიც გაივლის ჩემს ადგილში განუკითხავათ დავკლავო. მართლაც ასე მოიქცა და ერთი დღის განმავლობაში სამი ძროხა დაკლა. შემდეგ იფიქრა ნიკოლოზმა; მოდი ერთი გავაგებიო ქვედა-ბახველ რევოლიუციონერებს, მოვიდენ იქეიფონ, თორემ ამოდენა ხორცი ხომ გაფუჭდებაო. ხელათ შემოუთვალა სამსონს: „მე ხომ თქვენ პარტიას ვეკუთვნი,—სისხლსაც დავღვრი რო თქვენი პროგრამმა განხორციელდესო; ამიტომ შეიკრიბენით მთელი თქვენი პარტია მეწვიეთ და ჩემს სჩოტზე იქეიფეთო“. სამსონიც დაფაცურდა (აბა როგორ შეიძლებოდა გაწბილება!) მოჰკრიბა თავდადებულნი მებრძოლნი მათი პარტიისანი, როგორიც არიან თავქედა ლავრენტი, მწყერ-თავა ალექსანდრე, ფშვიტინა კლიმინა, ინდოურები ერმალო და კოლია და სხვანი, მხოლოდ იმათ პარტიას გამოეთიშა ა. ა—ძე, რომელმაც უხერხულად სცნო წასვლა ნიკოლოოზისას, რადგან მას საზოგადოებამ ბოიკოტი გამოუცხადა. ჩინებული ქეიფის შემდეგ გამართეს კრება თურმე და პრაგრამის 1 მუხლს დაუმატეს: „რადგან ძროხის ხორცი ძლიერ გემრიელია, ამიტომ დაენიშნოს ტერორი ქვედა-ბახველ ძროხებსაც პარტიის სასარგებლოთ“.

როგორ მოგწონს, ძმაო ეშმაკო, ეს პარტიზანული გამოსვლა ქვედა ბახველი რევოლიუციონერებისა? სულ არარაობას ამათთვინ ისევ ძროხებზე ვარჯიშობა სჯობია. ჯერ-ჯერობით ეს იკმარე და ისე ღმერთი არ გაუწყრება ქვედა ბახველ რევოლიუციონერებს, რომ შემდეგი ნომრის გამოსვლამდი კიდევ არ შეირცხვინონ თავი, ხოლო ამბავს არ დაგიგვიანებ.

მარადის ერთგული კაკაბი.

## ხიდისთავიდან

ძმაო ეშმაკო! ამ დღეებში კრება ჰქონდა ხიდისთავის ვაჭრებს. ქალაქის თავმა მოახსენა კრებას კუცურ-ბეგის გარდაცვალება. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დიდი თათბირის შემდეგ დაადგინა: იმ ფულის ნახევარი რომელიც ყოველ კვირეში უნდა წაეღო კუცურას ხიდისთავის დაწვისაგან გადასარჩენად დაარსებულ იქმნას სასწავლებელი სადაც ასწავლიან მათრახის ცემას, კბილების ჩამტვრევას. ხოლო დაევალოს ყველა მისგან თავპირ დამტვრეულ და ნაცემ ნაგვემ მოქალქეს დაესწროს მიცვალებულის გასვენებაზე. მაგრამ რადგანაც ნაცემი ყველა დარჩა ისევ: დეპუტაცია გაგზავნონ.

თეთრწვერა.

## ფ ო თ ი დ ა ნ

ქალაქ ფოთში ჩამოვიდა
მოჰიდავე ესებუა,
და გულ-დასმით ანგარიშობს
ჰიათურლებს რაც დასტყუა.
გააჭრელა განცხადება:
მოდი ძმაო, ცირკი ნახე“
(ჰოი დედავ! რამდენია
მოგონილი ფულის მახე!)
ჩვენ შიმშილით სული გვხდება,
და ვასუქებთ ესებუას...
ნეტავ როდის მოვესწრობი,
რომ ვისწავლით ცოტა ჭკუას.

კაფე.

## დაიჯერებთ?

— ნახუტურის მკვდრებმა ნება მისცეს მღვდელ კ. ჰანტურიას: ჩვენი გვირგვინები გაჰყიდე და ქანქარი როგორც გინდა ისე მოიხმარეო.

— მიქიაშვილი იმიტომ არ სტოვებს ლანჩხუთს, რომ ხალხი სიხარულით არ გადაირიოსო.



## თ ხ ო ვ ნ ა.

მათრახი მწვავეა, მაგრამ მათრახიცაა და მათრახიც. მაგალითისთვინ ავიღოთ „ეშმაკის მათრახი“. „ნიშადურის“ „ვირს“ ერთის გადაკვრით ყურები ჩამოაყრევინა და მიაჩუმა. ამით დაიმედებული მოხვევები მოგმართავთ უმაღლესი თხოვნით ეშმაკს,

ძმაო ეშმაკო!

ალმა და დალმა დაფრინავ,
თვალს ავლებ არე-მარესა,
თუმცა ამ ფრინაობითა
ბევრჯელ დღეს ნახავ მწარესა.

მაგრამ გთხოვთ: ნუ მოიძულებ
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა",
ჯაშუშებ, ქურდ-ბაცაცებმა
თავი აქ მოიყარესა.
ფეხ-ქვეშ სთელავენ ჩვენ კუთხეს
ახალი მოდის გმირები...
ბედაურების ადგილსა
დაეპატრონენ ვირები;
ჩამდგარან სათავეშია
„წარჩინებული“ პირები
აწარმოებენ „საქმესა“
რეაქციისა შვილები.
არ ძალ-გვიძს მეტის მოთმენა,
ასე ცხოვრება ძნელია,
შენ გევედრებით, უცხუნე
მათაც მათრახის წვერია.
იქნება დაფრთხენ და შეძვრენ
სოროში, როგორც მელია,
რომ არ ხვდებოდეს სიმართლეს
მათი ბინძური ხელია.
ვიცით „ეშმაკის მათრახი“
მათთვის რა გემრიელია.

მთიელი.

---

# დეპეშები.

**ფოთი** (მ. ად—ლის გადასაცემათ.) 9 სეკტემბერს, როდესაც მთელი საქართველო გლოვობდა, 1-კაცი, (ალბათ სოციალ დემოკრატები) რესტორანში შევიდენ და ხორცეული საჭმელი მოითხოვეს, **მედგარი**

**ჭიათურა** (მ. ად—ლისათვის) 10 სექტემბერს დილით ერთი სოციალ დემოკრატი ნელ-ხმაზე ღიღინებდა. უტყუარი ფაქტია. მიეცით ადგილი თქვენს წერილში.

**ქუთაისი**. („ისარის“ რედაქციას. კოპიო მ. ად—ლისთვის) 8 სექტემბერს, როდესაც საყვარელი მგოსანის გვამი ჯერ კიდევ არ გაცივებულიყო, სასტუმრო „იალტაში“ ექვსმა სოციალ-დემოკრატმა ყიფიანის ღვინო მოითხოვა და ერთმანეთის სადღეგრძელო დალიეს. მე შორი ახლოდან თვალს ვადევნებდი. სახეზე ყველას ვიცნობ თუ გამოძიების დროს მაჩვენებენ. ახალგაზრდები არიან.

**ბათუმი**. (მ. ად—ლის გადასაცემათ.) ერთ სოციალ-დემოკრატს ცოლთან უკმაყოფილება მოუვიდა და ვგონებ გაიყრებიან. მაშინვე გაცნობებთ.

**გორი**. (ფედერალური პარტიის მთავარ გამომძიებელს მ. ა—დლს) დიდის სიამოვნებით ვიკისრებ სოციალ-დემოკრატთა თვალ-ყურის დევნებას და იმედი მაქვს ბევრ საყურადღებო რამეს აღმოვაჩენ. მხოლოდ გთხოვთ მცირეოდენი ხათრი დამდოთ



ჭიათურა. ქუთაისი.
შავი ქვის მრეწველთა საბჭო.

და მოციქულათ დამიდგეთ მიხელ ზაალოვთან, რომ მის პროგიმნაზიაში მასწავლებლის ან ნადზირატელის ადგილი მომცეს. ქართველი კაცია და უარს არ გეტყვით. ხოლო თუ პოლიციაში ვიშოვე რამე ადგილი, მაშინ სულ მუქთად მოგაწვდით ცნობებს. საზოგადოთ აქაური ს. დ. მარხვას არ ინახავენ და არც ილიას დამარხვის დღეს უმარხულიათ.

---

## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**დიომიდ კონჭკათელს**. თქვენი ლექსი ჩვენს რედაქციას მეორეთ მოსდის. ჩვენ მღვდლებს კი ვემტერებით საზოგადოთ, მაგრამ თქვენი წერილი კერძო ხასიათისაა. ესეც არ იყოს ლექსიც ვერ არის კარგათ დაწყობილი და ამიტომ ვერ დავბეჭდავთ. არც ორიგინალი ინახება.

**ხეხილს**. ტყვილათ შეგშინებიათ „ეშმაკის მათრახის.“ თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ბათუმი**. კაპეიკს. „სქესობრივი საკითხი“ არ დაიბეჭდება, ვინაიდან ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა დაბეჭდილი ღრმათ მეცნიერული გამოკვლევა ი. ნაკაშიძისა. ჯერ-ჯერობით ესეც კმარა.

---

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ სიხეილის პროსპექტი, № 65